ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
შაბათი
29
ივნისი
№77 (10470)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება

### რესპუბლიკის ტერიტორიაზე კოლექტიური მებაღეობის მოწყობის აკრძალვისა და საქართველოს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს გაუქმების თაობაზე

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით კი ქალაქების მიმდებარე კოლექტიური მებაღეობისათვის მიწების განუკითხავად დიდი რაოდენობით განაწილებამ და მეტწილად არადანიშნულებით გამოყენებამ, ტყის მასივების გაჩეხვამ, მძიმე სამშენებლო ტექნიკით გზების გაყვანით გამოწვეულმა მეწყრებმა, წყაროების გაჭუჭყიანებამ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განადგურებამ დაამძიმა ქალაქების ეკოლოგიური მდგომარეობა და საფრთხის წინაშე დააყენა ქალაქისპირა სოფლების არსებობა.

აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით და მომავალ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს გლეხური მეურნეობის შექმნას და სოფლის მოსახლეობისათვის მიწების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ვადგენ:

1. კატეგორიულად აიკრძალოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე კოლექტიური მებაღეობის დანიშნულებით ნაკვეთების შერჩევა-გამოყოფა-განაწილება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ყველა ის დადგენილება და განკარგულება, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო და ითვალისწინებდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბაღე ნაკვეთების შერჩევა-გამოყოფა-განაწილებას.

3. გაუქმდეს საქართველოს მებაღეობის ამხანაგობათა მუშაობის საკოორდინაციო საბჭო (თავმჯდომარე—აბაზაძე) და ძალადაკარგულად ჩაითვალოს ის დადგენილებები, რომლებიც მისი და მსგავსი სტრუქტურების შექმნა-ჩამოყალიბებას ეხება.

4. მოქმედი კოლექტიური მებაღეობები გადავიდნენ შესაბამისი რაიონების პრეფექტურების დაქვემდებარებაში იურიდიული პირის სტატუსით.

5. დაევალოს შესაბამისი რაიონების პრეფექტურებს უმოკლეს ვადაში შეამოწმონ მებაღეობის ამხანაგობათა საქმიანობა, არ დაუშვან მშენებლობისა და სხვა სამეურნეო საქმიანობის დაწყება კოლექტიური მებაღეობის ერთი სახელ ინდივიდუალურ ნაკვეთზე, ამასთან ყოველი ინდივიდუალური ნაკვეთი, რომელზედაც არ დგას კაპიტალური ნაგებობა და არ დამუშავებულა ბოლო ორი წლის განმავლობაში, გადავიდეს სათანადო ტერიტორიული საკრებულოების გამგებლობაში; მათი შემდგომი გამოყენების საკითხი გადაწყდეს შესაბამისი რაიონების პრეფექტურებთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 24 ივნისი.

---

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

## ბრძანებულება

### პრეზიდენტის პრესის სამსახურის შექმნის შესახებ

შეიქმნას პრეზიდენტის პრესის სამსახური და მის ხელმძღვანელად დაინიშნოს არჩილ არჩილის ძე ჭირაქაძე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია.

1991 წლის 24 ივნისი.

---

## მუზეუმს 70 წელი უსრულდება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი—ისტორიული მუზეუმი საყოველთაოდ აღიარებული სამეცნიერო დაწესებულებაა რესპუბლიკის მასშტაბით. აქ თავმოყრილია დადიანისეული და მიურატისეული ნივთები, ნაპოლეონ ბონაპარტის ნიღაბი, მდიდარი ბიბლიოთეკა უნიკალური წიგნებით, საქართველოსა და ევროპას შორის კულტურული ურთიერთობის ამსახველი მიმოწერები დამთვალიერებელთა დიდ დაინტერესებას იწვევს. მუზეუმის საცავებსა და სეიფებში ინახება ისეთი საინტერესო საარქივო მასალები, რომელთაც ჯერ დღის სინათლე არ უხილავს და ფასდაუდებელ საგანძურს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის. საცავებში შემონახული მასალები ძირითადად ასახავენ სამეგრელოს რეგიონის ყოფასა და ცხოვრებას.

კიდევ ცოტა დრო და მუზეუმს დაარსებიდან 70 წელი უსრულდება. მუზეუმის შექმნასა და დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის იმ დროისათვის განსწავლულ პიროვნებას, კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეს ისტორიკოსს, მეცნიერსა და არქეოლოგს, აწგანსვენებულ აკ. ჭანტურიას, რომელმაც დიდი შრომის ფასად კარდაკარ შემოვლით შეაგროვა სამეგრელოს სოფლებში მიმობნეული ექსპონატები, თავი მოუყარა და შემოუნახა იგი მომავალ თაობას. ვინ მოთვლის რამდენი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა მეცნიერს იმისათვის, რომ მუზეუმისათვის სრულყოფილი სახე მიეცა.

ძვირფასო მეგობრებო! პატივცემულო თანამემამულენო. თუ რამე იცით ისეთი, რომელიც დაკავშირებულია მუზეუმის შექმნის ისტორიასთან გთხოვთ გამოგვეხმაუროთ და მოგვაწოდოთ მოგონებები ან სხვა საინტერესო ჩვენთვის უცნობი მასალები.

პატივისცემით „ოდიშის"
რედაქცია

---

ხალხის გულისთქმა

## არ გამოუვათ

აფხაზეთიდან კვლავ შემაშფოთებელი ამბები ისმის. პრესის ფურცლებზე კანტიკუნტად ახსენებენ იმ მოსალოდნელ საშიშროებას, რომლითაც დამუხტულია ატმოსფერო უძველესი აბრსკილის მხარეში. არა და ჰაერივით გვჭირდება უტყუარი, ნაღდი ინფორმაცია იმ სიტუაციაზე, რაც დღეს საქართველოს ამ ძირძველ მიწაზეა შექმნილი.

შეუძლებელია დამშვიდებული ნერვებით გაეცნო პუბლიკაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ მეთოდურად ახდენენ მედესანტეთა დისლოცირებას აფხაზეთის ტერიტორიაზე. ხალხი ღელავს, შფოთავს, ბოლომდე ვერავინ გარკვეულა, თუ რას უნდა ნიშნავდეს ყოველივე ეს. სამხედრო უწყებათა მაღალჩინოსანი მესვეურნი კი ცინიკური ტონით გვარწმუნებენ: ეგ უბრალო სამხედრო მანევრებია და არაფერი აქვს საერთო აფხაზეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებასთანო. ეს ვითარება კი ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანისათვის თვალხილულია: სეპარატისტულ ძალებს სურთ საქართველოს მოსწყვიტონ მისი ღვიძლი ნაწილი —აფხაზეთი და შეიყვანონ იგი ახლად შეკოწიწებულ მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირში. დამოუკიდებელი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მორიგი ხრიკია კრემლის გამთიშველი, ანტიჰუმანური პოლიტიკისა. მას სურს ეს კოზირი მაქსიმალური სივერაგით გამოიყენოს და ერთმანეთს დაგვატაკოს მოძმე ხალხები. მაგრამ ისტორიას აქვს თავისი სამართალი და კანონზომიერება. ასეთი უსამართლობა არც კრემლის მესვეურთ შერჩებათ და არც არძინბას ტიპის პოლიტიკოსებს.

გონს მოეგეთ, ვაჟბატონებო! ქართველი ხალხის მოთმინებას ნუ ეთამაშებით.

ბ. ქარაია,

---

ჩაი—91

## მეარენდეები წინ არიან

ონარიის ჩაის მეურნეობის კოლექტივი წელს 2.100 ტონა ჩაის ნედლეულის დამზადებას ითვალისწინებს. 27 ივნისისათვის მოკრეფილია და მრეწველობას მიეყიდა 700 ტონაზე მეტი ნედლეული. დღიურად იკრიფება 25-27 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

მაის-ივნისის დავალება გადამეტებით შეასრულეს კომპლექსური მექანიზაციის მეარენდე მერგოლეურებმა: გენადი ქირიამ, გივი ლატარიამ, დათიკო გოგოლმა, ვახტანგ ხუფენიამ. მათ შესაბამისად ორ თვეში გათვალისწინებული ვალდებულება შესრულებული აქვთ დიდი გადამეტებით.

პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა ორ დღეში დამთავრდება. დარჩენილია პლანტაციების ფართობების 10-15 პროცენტი.

---

## არ უნდა დაყოვნდეს

28 ივნისისათვის რაიონში გათვალისწინებული 67 500 ტონიდან, მოკრეფილია 17 409 ტონა ანუ 28 პროცენტი. ჩამორჩენაა პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფის საქმეში. პლანტაციების 15 პროცენტი გადასაკრეფია. ბუჩქებზე მისი დატოვება ყოვლად შეუწყნარებელია. იგი იწვევს მეორე ვეგეტაციის შეფერხებებს, ამასთან საქმე გვაქვს უხარისხო ნედლეულთან და დანაკარგებთან.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა აგროწესების დაცვით მიმდინარეობს ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში, ნარაზენის კოლმეურნეობაში, ნარაზენისა და ხეცერის მეურნეობებში, ახალაბასთუმნის, ჯიხაშკარის კოლმეურნეობებში და სხვა.

პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა ყოვნდება რუხის, ცაიშის, ჰაქვინჯის, ურთის და რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

დრო არ ითმენს, არ უნდა დაყოვნდეს პირველი ვეგეტაციის ჩაის გადაკრეფა!

# საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი ორგანოების საკრებულოში არჩეული დეპუტატები ზუგდიდის რაიონში

(დასასრული)

## ქითაწყარი

9. დარასელია მურთაზი, 1958 წ. აგრონომი, ქითაწყარის კოლმეურნეობის ბრიგადირი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონულმა ორგანიზაციამ.

10. ჩუხუა ნუგზარი—1955 წ. ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკის ოპერატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

11. ჯიქია კავალიონი—1927 წ. აგრონომი, ქითაწყარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა ორგანიზაციამ.

12. ჯიქია რეზო—1942 წ. ქითაწყარის კოლმეურნეობის ბრიგადირი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

13. წულაია ჯანელი—1950 წ. ეკონომისტი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

14. მალანია ნინო—1960 წ. ბუღალტერი, ზუგდიდის საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს დისპეტჩერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. ზამუგია დათო—1966 წ. ინჟინერ-მექანიკოსი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო".

16. მესხი რეჯები—1968 წ. ადგილმრეწველობის მუშა, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. გეგეჭკორი მალიდა—1964 წ. აგრონომ-დეკორატორი, ონარიის ჩაის სახოფლო მეურნეობის აგრონომ-დეკორატორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

18. ხარაშვილი აბესალომი—1950 წ. ზოოტექნიკოსი, ქითაწყარის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ზოოტექნიკოსი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა ორგანიზაციამ.

19. დანითაია მაშა—1988 წ. ქითაწყარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მოანგარიშე, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო რაიონულმა ორგანიზაციამ.

20. ჯალაღონია რონინი—1936 წ. აგრონომი, ონარიის ჩაის მეურნეობის დირექტორი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა ორგანიზაციამ.

21. ჩაბალუხა ჯუმბერი—1942 წ. აგრონომი, ონარიის ჩაის სასოფლო მეურნეობის მოიჯარე, ჰელსინკის კავშირის წევრი, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

22. კვირკველია კარლო—1939 წ. ინჟინერ-მექანიკოსი, ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მთავარი მექანიკოსი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

23. მებონია ლუარა—1954 წ. მეფრინველეობის ფაბრიკის კულტსახლის დირექტორი, საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირის წევრი, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

## ყულიშკარი

1. აბსავა აზა—1951 წ. ეკონომისტი, კოლმეურნეობის მთავარი ეკონომისტი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

2. ავალიშვილი ლუცია—1924 წ. პედაგოგი, საბავშვო ბაღის გამგე, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

3. თირქია მოკოდია—1955 წ. ბუღალტერი, დამამზადებელი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა ორგანიზაციამ.

4. თირქია ნუგზარი—1949 წ. პედაგოგი, ყულიშკარის საშუალო სკოლის დირექტორი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო.

5. თირქია ზოთა—1964 წ. სტუდენტი. დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

6. ლობუა ზერმადინი—1957 წ. ინჟინერი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

7. მაჭაცარია რონინი—1947 წ. ყულიშკარის კოლმეურნეობის საწარმოო ბრიგადის ბრიგადირი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

8. მიქავა გურამი—1936 წ. აგრონომი, ყულიშკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

9. მიქავა ვლადიმერი—1920 წ. ყულიშკარის კოლმეურნეობის კოლმეურნე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

10. მაჭაცარია კობა—1962 წ. ინჟინერ-მექანიზატორი, ყულიშკარის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

11. ნანავა ლიანა—1951 წ. სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

12. როგავა გონელი—1951 წ. ბუღალტერი, ყულიშკარის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტრის მოადგილე, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო-რაიონულმა ორგანიზაციამ.

13. როგავა ინდიკო—1981 წ. ყულიშკარის საწარმოო ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

14. როგავა ნოდარი—1931 წ. აგრონომი, ყულიშკარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

15. როგავა ტურშა—1948 წ. ეკონომისტი, ყულიშკარის კოლმეურნეობის პროფკომის თავმჯდომარე, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

16. როგავა მაია—1962 წ. საბავშვო ბაღის მასწავლებელი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

17. ფიფია ნუნუ—1950 წ. ყულიშკარის კოლმეურნეობის კოლმეურნე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

18. ხარებავა გიგლა—1956 წ. ეკონომისტი ყულიშკარის კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

19. ხარებავა ნოდარი—1936 წ. აგრონომი, ყულიშკარის კოლმეურნეობის მოლარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

20. ძიგუა ზურაბი—1955 წ. ტექნიკოსი უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

## ჭაქვინჯი

1. ბარავია გონელი—1958 წ. ინჟინერი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

2. ბარამია ნოდარი—1960 წ. პედაგოგი, დიდნობერის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

3. გაბელია ილო—1966 წ. ჭაქვინჯის კოლმეურნეობის შრომის ეკონომისტი, უპარტიო წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

4. დარასელია ზაური—1941 წ ჭაქვინჯის კოლმეურნეობის არენდატორი, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

5. ერემაძე ინდიკო—1983 წ. აგრონომი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის აგრონომი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

6. ერემაძე შალვა—1937 წ. აგრონომი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

7. თირქია დამიანე—1935 წ. ინჟინერ-მშენებელი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის ინჟინერი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

8. თოდუა იზო—1955 წ. პედაგოგი, დიდნობერის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა —თავისუფალი საქართველო".

9. მგალობლიშვილი ბეჟანა—1968 წ. ინჟინერ-ეკონომისტი, დროებით უმუშევარი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

10. ნარსია მანანა—1964 წ. ბუღალტერი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის სტატისტიკოს-ინფორმატორი, საქართველოს დკპ წევრი წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

11. სოსელია თამაზი—1957 წ. ბუღალტერი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის მოლარე-მოანგარიშე, უპარტიო, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

12. ფალიანი თენგიზი—1949 წ. პედაგოგი, ბალმარანის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო".

13. ჩუხუა გურამი—1946 წ. საქონელმცოდნე, ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

14. ჩუხუა ო[illegible]—1957 წ. ინჟინერი, საქართველოს „ჰიდროელექტრომშენის" უფროსი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

15. ჩუხუა ლალი—1962 წ. ინჟინერი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

16. ხუბულავა ვალერი—1952 წ თეოლოგი, ჭაქვინჯის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, უპარტიო, დამოუკიდებელი.

17. ხუბულავა იზოლდა—1948 წ. აგრონომი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის პროფკომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

18. ჯიქია მურმანი—1945 წ. ჭაქვინჯის კოლმეურნეობის არენდატორი, საქართველოს დამოუკიდებელი კპ წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

19. ჯიქია მიშიკო—1959 წ. ინჟინერი, დროებით უმუშევარი, უპარტიო, წარადგინა ბლოკმა „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო".

20. ჯიქია ჯამბული—1958 წ. აგრონომი, ჭაქვინჯის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის წევრი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელი კპ ზუგდიდის საქალაქო—რაიონულმა ორგანიზაციამ.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების. საკრებულოთა არჩევნების ზუგდიდის რაიონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მ. ჯგუშია.

დასასრული. დასაწყისი იხ. გაზ. „ოდიში" №№ 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76.

---

# ოსტატი

ამე აწერის ენგურქაღალდკომბინატის სტამბის ერთ-ერთ ოთახს, სადაც ოცდამეთერთმეტე წელია გაზეთ „ენგურის მუშის" მუშაკებს, შემკვეთებს თავაზიანად ხვდება პოლიგრაფისტი გურამ ბენიძე.

მან ასოთამწყობად დაიწყო მუშაობა, შემდგომ კი ოსტატის წოდება მიიღო. გურამის გვერდით სამი ათეული წელია ჩინებულად მუშაობენ გრავიორები: ბიჩო ზარანდია, თემურ ფირცხელანი. ორი ლინოტიპი აქვთ სტამბაში, გასამართავი მანქანები კი რამდენიმე. არიან ახალბედებიც: მაია გერსამია, ფატიმა კუჭავა და სხვები, რომელთათვის კანონია გურამის რჩევა.

ამონ წიტყვა

საბჭოთა წიგნუფთავე და წენჩრიგია სტამბაში. მზადდება ერთვნული კოლორიტით ალბეჭდილი ბლოკნოტების, ალბომების, რვეულების ყდები, ყველაფერს ამას ხატიფი გემოვნება სჭირდება, რაც არ აკლია ოსტატს.

რითმულად მუშაობენ მანქანები, არ არის წუნი და მოცდენა. არის ამაში ოსტატის ხელი.

ბ. ასათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მრავალსახოვანა ქველმოქმედებისა

ამ ბოლო ხანებში ჩვენს რესპუბლიკაში გახვთარებულმა მოვლენებმა საკმაო სიმკვეთრით წარმოაჩინა იმის საჭიროება, რომ საქმიანობის ნებისმიერ უბანზე თავჩენილ სოციალურ გაჭირვებებს კარგად აწონილ-დაწონილი მოქმედებით დავუპირისპირდეთ. ამჯერად არ გავაგრძელებთ საუბარს იმაზე, თუ რა მიზეზებმა და ფაქტორებმა აუნთეს მწვანე შუქი ძნელად გადასალახავ ჭირებს ჩვენს ისედაც გაჭირვებულ ყოფაში. მაგრამ ერთი რამ ცხადია, მკაცრი რეალობის მიერ შემოთავაზებულ ანომალიებს სიახლისკენ მიმსწრაფი ადამიანების ძალისხმევა და ქველმოქმედება დაუპირისპირდა.

ამ მხრივ საოცრად მრავლისმეტყველ ფაქტად აღიქმება ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს ღვთის შვილთა კავშირის ჩამოყალიბება, რომელმაც თავისი სტატუსი იმთავითვე დააფუძნა ბუნებისგან დაჩაგრული, მძიმე ხვედრის ადამიანებისათვის ზრუნვაზე. ამ საქველმოქმედო საქმიანობას გააჩნია ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ინვალიდებისთვის როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე მორალური მხარდაჭერის მრავალსახა ღონისძიებების გატარებას.

კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქალაქში უკვე ფუნქციონირებს ახალი ორგანიზაცია თავისი ოფიციალური სტატუსით, ბეჭდით, იურიდიული პირის უფლებით, საქმიანობის [illegible] სტრუქტურით. ისიც ხაზგასასმელია, რომ ამ ჩვენთვის ახალი ნამსახურის დაფუძნებით გამოვლენის გზებს და სადინარს პოულობს ქართველი კაცის ბუნებაში ოდითგან მოცემული ქველმოქმედების, ადამიანში მოყვასის ძიების წყურვილი.

ჩვენი რეგიონი ღვთის ნებით აღნიშნული კონტინგენტის მოქალაქეთა სიმცირეს არ განიცდის. სად არ შეხვდებით მათ, ბუნებისაგან, თუ ბედის ირონიით ხეიბრად შთენილ ადამიანებს, რომლებიც თავის დროზე საკუთარი უნარის სრული შეწირვით ემსახურებოდნენ საზოგადოებას. ახლა კი, როცა ენით უთქმელი დარდი და სიმძიმილი დაჰკიდებია მათ გულს, საზოგადოება, ქვეყანა მოვალეა ყოველნაირად შეუმსუბუქოს მათ ფიზიკური ტკივილების მტანჯველი განცდით დაღდასმული ყოფა, გამოუნახოს საქმიანობის ის სარბიელი, სადაც მათ კვლავაც შეეძლებათ სასარგებლო საქმეთა კეთება.

აი, რა მოუთხრო ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს ღვთის შვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზალი ცხონდიამ.

# ჭირთა გამრიგევ, შეეწიე უნუგეშოდ დარჩენილთ

— რა მიზნებს ისახავს და ვის ინტერესებს იცავს ეს ასოციაცია?

— როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, 1989 წლის 6 ივლისს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება სრულიად საქართველოს ღვთის შვილთა კავშირის ინვალიდთა ასოციაციის შექმნის შესახებ. ამის საფუძველზე 1991 წლიდან ჩვენს ქალაქში ფუნქციონირება დაიწყო აღნიშნული ასოციაციის სამეგრელოს რეგიონალურმა ორგანიზაციამ. ეს ის სიახლეა, რომელმაც სრულიად ახალი, რეალური გარანტიები უნდა შექმნას რეგიონში მცხოვრები ინვალიდების სოციალურ-ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფისათვის. ჩვენ ის ორგანიზაცია ვართ, რომელსაც შეუძლია არა მარტო მატერიალურად წააშველოს ხელი შრომის უუნარო, დავრდომილ ადამიანს, არამედ დაასაქმოს ის კონტინგენტი, ვისაც შეუძლია შრომა, გარკვეული პროდუქციის შექმნა. მოგეხსენებათ, ღმერთმა ყოველ ადამიანში ჩადო თვითრეალიზაციის გარკვეული პოტენცია. და ეს მომენტი თვალნათლივ წარმოაჩენს ორგანიზაციის მიზანს: გამოუნახოს ინვალიდს საქმიანობის ის სახეობა, ფორმა, სადაც შეეძლება მატერიალური ღირებულების შექმნა.

ბუნებით დაჩაგრულ ადამიანს ჩვენ ვაძლევთ საშუალებას ინდივიდუალური სამუშაო გასწიოს შინ. საამისოდ საჭირო ნედლეულს, დამხმარე მასალებს და მოწყობილობას მათ ჩვენი ორგანიზაცია მიაწვდის.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული საქველმოქმედო ინიციატივები მთლიანად მოიცავენ ინვალიდთა ინტერესებს და რაც მთავარია, ფლობენ მაკოორდინირებელ ბერკეტს: წლობით შრომას მოწყვეტილ პირს აკეთებინონ სასარგებლო საქმე და დაუბრუნონ მათ ცხოვრებისაგან მოუწყვეტლობის, სრულფასოვნების შეგრძნება.

— რას გვეტყოდით იმ პირველ ხელშესახებ ნაბიჯებზე, რომლებმაც უახლოეს მომავალში უნდა გამოკვეთონ შორეული პერსპექტივის კონტურები?

— ინტენსიურად მიმდინარეობს ინვალიდთა რეგისტრაცია-გაწევრიანება. უკვე მოვახერხეთ რამდენიმე თერძის, ელშემდუღებლის, დურგლის, პარიკმახერის, მკერავის და სხვა სახის ხელოსანთა დასაქმება ინდივიდუალური შრომის წესით. გახსნილ იქნა საბურავების გადასაკრავი საამქრო, რომელსაც მეორე ჯგუფის ინვალიდი უძღვება. ორგანიზაციის რამდენიმე წევრი საკუთარი ავტომანქანით მომსახურებას უწევს მოსახლეობას და გარკვეული თანხა შემოაქვს ბანკში ჩვენს ანგარიშზე. რამდენიმე ინვალიდს თავის სახლში აქვს გახსნილი მცირე სავაჭრო წერტი, აფთიაქი და ა. შ.

ამ დღეებში ქ. ლენინგრადში გახლდით და მოველაპარაკეთ საბჭოთა კავშირ-ისრაელის ერთობლივ ფირმას, რომელიც ამზადებს ადამიანის ხელოვნურ სხეულებს (ხელის, ფეხის პროთეზებს და ა. შ.). იმედი გვაქვს, რომ მალე ზუგდიდში გავხსნით პროთეზების საამქრო-ლაბორატორიას.

მიღწეულია შეთანხმება მოსკოვის ერთერთი საქველმოქმედო ორგანიზაციიდან შევიძინოთ რამდენიმე ცალი საქსოვი დაზგა და ამით საშუალება მივცეთ ჩვენს კონტიგენტს საკუთარ სახლში აწარმოოს შინა რეწვა.

ასეთი გზით, დღითი-დღე, მიზანდასახულად ვცდილობთ შევქმნათ საარსებო წყაროები, რათა სახელმწიფოსაგან არ ვითხოვოთ დახმარება. ყველას კარგად მოეხსენება რესპუბლიკის ბიუჯეტის დღევანდელი სიძნელეები. მიუხედავად ამისა, ქალაქის პრეფექტურამ, პირადად ბატონმა თ. ყორყოლიანმა თავისი ფონდიდან მნიშვნელოვანი თანხა გადარიცხა ჩვენს ანგარიშზე. ადგილობრივი ხელისუფლება ყოველნაირად გვიწყობს ხელს. ინვალიდებისათვის გამოყოფილ იქნა ათი ათასი მანეთის იმპორტული საქონელი, ავტოსაბურავები, ბენზინი. საგრძნობ თანადგომას ვგრძნობთ საფინანსო განყოფილებისა და საგადასახადო ინსპექციის მხრიდან. იმედი გვრჩება, რომ მათ მიბაძავენ სხვა სამსახურებისა და ორგანიზაციის მესვეურნიც, რომლებიც ჯერჯერობით რატომღაც ფეხს ითრევენ ჩვენი ასოციაციისათვის კონკრეტული დახმარების გაწევის საქმეში.

აქვე მინდა შემდეგი სიტყვებით მივმართოთ ჩვენს კონტინგენტს: ასოციაციაში საიმედო ქომაგი დაინახეთ მეგობრებო, იგი დღენიადაგ, ნაბიჯ-ნაბიჯ კაფავს ყოველი თქვენგანის მტკივან გულთან, დაზაფრულ ბედთან მისასვლელ გზებს. შრომას გადაჩვეულ თქვენს ხელებს ჩვენ უცილოდ მივანიჭებთ ახალ სუნთქვას, რათა მომხმარებელს თქვენს მიერ გამოჭედილი, მოქსოვილი, შეკერილი, მოწნული პირველი მოხმარების საგნების შეძენის სურვილიც აღეძრას. ეს ასე მოხდება სულ მოკლე დროში. მანამდე კი, მანამდე ყველანი აღვიჭურვოთ მოთმინებით, სწორი გაგებით შევხედოთ ორგანიზაციის ამჟამინდელ მწირ შესაძლებლობებს. რამდენადაც თავს ავარიდებთ ზედმეტ გაღიზიანებას, უადგილო პრეტენზიებს, მით უფრო ფართოდ გაეხსნება გზა ჩვენს ახალ წამოწყებას.

— რა პრობლემებს აწყდებით მიმდინარე ეტაპზე?

— მუშაობას ფაქტიურად მინიმალური გამოცდილების გარეშე ვიწყებთ. არა და დრო არ ითმენს. უწყებო მოქალაქეები კონკრეტული ყოფითი საკითხების, ელემენტარული სოციალური საჭიროებების მოგვარებას გვთხოვენ.

უპირველეს საბრძოლო ამოცანად გვესახება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, რაღაცნაირად ფეხის მოკიდება, რომ ხვალ და ზეგ დამოუკიდებელი საწარმოო სტრუქტურები ავამოქმედოთ. როგორც ზემოთ ვახსენე, დახმარებას ვგრძნობთ ადგილობრივი ხელმძღვანელობისაგან. მაქსიმალურად გვიჭერს მხარს ჩვენი ზემდგომი ორგანო. ახლა ჯერი ცალკეულ შრომით კოლექტივებზეა. ნებისმიერ მათგანს გააჩნია საამისო ტექნიკური, თუ ფინანსური რესურსები, რომ გარკვეული წილი ამ უნუგეშო, ბედის ანაბარა დარჩენილი თანამოქალაქეების საკეთილდღეოდ გაიღოს. მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, ცალკეული საწარმოებისა და უწყებების გულგრილ, სასხვათაშორისო დამოკიდებულებას ყოველ ნაბიჯზე ვაწყდებით. არა და ეს ის ბარიერია, რომელიც ნებისმიერ კეთილ ჩანაფიქრს ჩანასახშივე ახშობს. ყველამ უნდა სწორად გაიცნობიეროს ის უცილობელი ფაქტორი, რომ ამ საწყის ეტაპზე ორგანიზაცია-დაწესებულებათა და თუნდაც ცალკეულ მოქალაქეთა შემოწირულობების გარეშე ასოციაცია ფეხზე ვერ დადგება, ძალას ვერ მოიკრებს და ინვალიდების წინაშე პირშავადაც დარჩება.

— კონტაქტები თუ გაქვთ თქვენი სისტემის ცალკეულ წარმომადგენლებთან. ალბათ, გამოცდილების გაზიარების გარკვეულ არხებსაც ესწრაფვით.

— ამ მხრივ მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს მეზობელ რეგიონებთან. კერძოდ, ოზურგეთის, ქუთაისის, ბათუმის ასოციაციების. მუშაობის გაცნობამ გვიკარნახა ზოგიერთი აქცენტები [illegible] ჩვენს სამოქმედო პროგრამაში.

რაც შეეხება ცოცხალ, ადამიანურ კონტაქტებს, მოგეხსენებათ, ეს ისეთივე შვებაა ინვალიდისათვის, ვითარცა ცივი წყაროს წყალი მწყურვალისთვის. ძნელია სიტყვებით გადმოცემა იმ სიხარულისა, რაც განიცადეს წლობით შინ ჩაკეტილმა ინვალიდებმა თბილისში ამასწინათ ჩატარებულ ინვალიდთა სპორტულ ასპარეზობაზე. მიუხედავად ჩვენი სისტემის ეკონომიკური მდგომარეობისა, მაინც მოვახერხეთ რამდენიმე პირის გაგზავნა თბილისში, სადაც მათ მშვენივრად იასპარეზეს მკლავჭიდში, ნარდში და ავტორალში. ერთ-ერთმა მათგანმა, მეორე ჯგუფის ინვალიდმა ჯ. შანავამ მკლავჭიდში საპრიზო ადგილიც მოიპოვა. მაგრამ როგორ გინდა შინაგანი უმწეობის მტანჯველი გრძნობა გაუფანტო იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ვერ გაემგზავრნენ შეჯიბრებაზე. ვერ გაემგზავრნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სპორტული ტანისამოსი და ფეხსაცმელი არ გააჩნდათ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ეკონომიკური ულონობა გულში ჩაახედებს იმ ორგანიზაციათა მესვეურებს, რომლებსაც ისედაც სალ-სალამათი და წარმატებული სპორტსმენებისთვის მეტად სოლიდური, ძვირად ღირებული საჩუქრები გადაუციათ. ადვილი წარმოსადგენია მადლიერების რაოდენ დაუვიწყარ გრძნობებს წამოშლიდა ინვალიდის სულში გაცილებით უფრო მცირე მასშტაბის ყურადღება ხსენებული ორგანიზაციების მხრიდან.

მეპატიოს ზედმეტად პათეტიკური ტონი, თუ ჩვენი ასოციაციისკენ პირით შემობრუნებას ვითხოვთ ყველასაგან. მოდით, ქენით მადლიერი საქმე, ბატონებო. იყავით ჭეშმარიტი ღვთის შვილები და სხვაზე ადრე დახმარების ხელი გაუწოდეთ ამ გაჭირვებულ ხალხს.

ამ პუბლიკაციის საშუალებით ერთხელ კიდევ ვთხოვთ თანადგომას იმ ორგანიზაციების თავკაცებს, რომლებთანაც ორ-ორჯერ ვყოფილვართ და ეკონომიკური დახმარების პირობაც მიგვიღია. ვიმედოვნებთ, პირს არ გაიტეხენ და გარკვეულ თანხას ჩარიცხავენ ჩვენს 70007 ანგარიშზე.

წინასწარ გიხდით მადლობას ყველას, ვინც ამ კეთილშობილურ, ეროვნულ საქმეში დახმარების ხელს გაგვიწვდის.

## გამკითხავი არავინაა

ნათქვამია: ბუნების მტრობა ერის მტრობააო— ჭეშმარიტად რომ ასეა. რაოდენ დასანანია. ამით ხის იმ ტოტს ვჭრით, რომელიც გვიფარავს.

თუ არა ეს, რით უნდა აიხსნას, რომ ზუგდიდის ქალაქის მიმდებარე რაიონის ტერიტორიები ნაგავსაყრელადაა ქცეული, ამის წყალობით ბინძურდება გარემო, იხოცება ნადირ-ფრინველი, წყალში თევზი, მაგრამ გამკითხავი არავინაა.

ამ საქმეში ტოლს არავის უდებს ონარიის ჩაის მეურნეობისა და ხოფელურთის მიმდებარე ტერიტორიები. ამის შესახებ არაერთი კორესპონდენცია გამოქვეყნებულა გაზეთ „ოდიში"-ში. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

ქალაქის მიმდებარე ტერიტორიების დანაგვიანება გრძელდება.

ამ დღეებში, დღისით, მზისით ონარიის ჩაის მეურნეობის ტერიტორიაზე გამოჩნდა ნაგვით დატვირთული ავტომანქანა გაზ—53, სახ. ნომერი—„0247 გაუ" და დიდი ხიჩქარით პლანტაციის განაპირა მხრისაკენ გაემართა.

მას ფეხდაფეხ მისდიეს მეურნეობის თანამშრომლებმა და ავტომძღოლ თემურ ჯღარკავას მაშინ წაადგნენ თავზე, როცა იგი „სახელმწიფოებრივი სამსახურის" აღსრულებას შეუდგა.

უტიფარმა ავტომძღოლმა იტიბარი არ გაიტეხა და მოსულთ იქით შეუტია— თავის გამართლება სცადა და უტიფრად განაცხადა: —აბა, სად უნდა ვატარო ეს ტვირთი.

მაშინ როცა წინააღმდეგობას წააწყდა, დაფეთებულმა გაქცევით უშველა თავს.

როგორც გაირკვა, ის ავტომანქანა ეკუთვნის ქალაქის დასუფთავების კომბინატის ავტოკოლონა 1068-ს (უფროსი ვ. ჩარგაზია). გვჯერა მისი ხელმძღვანელები საკადრისად დასჯიან ბუნების ხელმყოფთ, რომელნიც არ ერიდებიან ქალაქისა და რაიონის ტერიტორიის გაბინძურებას.

ლ. ბაქრაძე.

სპორტი

# თხუთმეტი მედალი და განელებული სიხარული

ამა წლის 4-9 ივნისს ბათუმში ჩატარდა საქართველოს მეორე ეროვნული ჩემპიონატი სპორტულ ტანვარჯიშში. პირველი ადგილი ხვდა თბილისის ნაკრებს, მეორე გუნდური ადგილი დაიკავა ზუგდიდის ნაკრებმა, ხოლო მესამე ადგილზე აჭარის ნაკრები გავიდა. ზუგდიდის ღირსებას იცავდნენ. ზაზა ქობალია, ზაზა ყალიჩავა (მეათე საშუალო სკოლა), დიმიტრი წითაშვილი (მეორე საშუალო სკოლა), გოგა სოროდიე (ქალაქის სკოლა-ინტერნატი), ლევან ბუაძე, ავთანდილ ბუკია, ლანა ჭანტურია (მეთორმეტე საშუალო სკოლა), გოგიტა ქირია (ჭითაწყარის 8 წლიანი სკოლა), დათო ქვარცხავა და გოგი შიუკაშვილი.

პირად პირველობაზე სპორტის ოსტატობის კანდიდატთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა მეტად ნიჭიერმა სპორტსმენმა, მეშვიდეკლასელმა მოსწავლემ დიმიტრი წითაშვილმა. დიმასათვის ეს „ნადავლი" რიგით მეხუთე ოქროს მედალია, რაც უდავოდ სასიხარულო ფაქტი გახლავთ. საგულისხმო და მისასალმებელია აგრეთვე, რომ მეორე ადგილიც ჩვენმა თანაქალაქელებმა —გოგა სორდიამ და ლევან ბუაძემ გაინაწილეს.

ჩვენი ტანმოვარჯიშეების ამ დიდ წარმატებაში განუზომელი ღვაწლი მიუძღვის შესანიშნავი აღმზრდელსა და დამსახურებულ მწვრთნელს ბატონ ვაჟა ხაბეიშვილს, რომლის აღზრდილებმაც, სხვადასხვა დროს, საერთო ჯამში, ზუგდიდს მოუტანეს 242 მედალი, აქედან 108 ოქროსი გახლავთ. საერთო სიხარული და წარმატება გაიზიარეს აგრეთვე მეორე მწვრთნელმა გოგი შიუკაშვილმა და გუნდის უფროსმა ალექსანდრე ჩქოტუამ.

მაგრამ ეშმაკს არ ეძინა თურმე. იმ დროს, როცა ჩვენი ტანმოვარჯიშეები და მათი მწვრთნელები დიდი შრომისა და მონდომების ფასად იქ, ბათუმში, ქულას ქულაზე აგროვებდნენ,—აქ, ზუგდიდში, ვიღაც გარეწრები თურმე ნადავლად ემზადებოდნენ. ბათუმიდან დაბრუნებულმა გუნდმა როცა თავისუფლების პარკში მდებარე თავის საწვრთნელ ბაზას მიაშურა, საშინელი სურათი დაუხვდა. ვიღაცეებს წვითა და დაგვით მოწყობილი სატანვარჯიშო სავანე აეოხრებინა, დაერბია და გაექურდა. დაჭრილ-დანაკუწებულია 54 ათას მანეთად ღირებული ხალიჩა, დაჩეხილია ინვენტარი, წასაღები წაეღოთ, მინები ჩაემსხვრიათ... ერთი სიტყვით, მტერი, მხოლოდ-და პირწავარდნილი მტერი თუ იკისრებდა ასეთ სიავეს! რატომ? რისთვის?—კითხვებს აუცილებლად უნდა გამოეძებნოს პასუხი!

დასასრულს, გვინდა გაუწყოთ, რომ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით ამიერიდან ზუგდიდელი ტანმოვარჯიშეები იასპარეზებენ არა ქალაქის სახელით, არამედ „სამეგრელოს რეგიონალურის" ევიდით. შეგახსენებთ, რომ ჩვენს ტანმოვარჯიშეთა გუნდს ჯერჯერობით არ გამოუჩნდა სპონსორი. ვინ იტვირთებს ამ სასიამოვნო და კეთილ მისიას?

**ალექსანდრე ჩქოტუა,**
სპორტის ოსტატი.

## ა. დ. სიჭინავა

გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი **აკაკი დომენტის ძე სიჭინავა.**

იგი დაიბადა 1931 წელს ჭიხაშკარში. საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1955 წელს მუშაობას იწყებს №2 ჩაის ფაბრიკაში ბრიგადირად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ბრიგადირად საკონსერვო ქარხანაში, აგრონომად კოკის, ინგირის კოლმეურნეობებში. აგროგანყოფილების მმართველ აგრონომად აბასთუმნის ძეურხეობაში.

ათი წელი უძღვებოდა კოკის კოლმეურნეობას, ხოლო 1983 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორიის დირექტორი.

წავიდა ჩვენგან კარგი სპეციალისტი, ჩინებული მოქალაქე და მეგობარი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს კოლეგების, მეგობრების, ამხანაგების, კოლექტივის წევრთა შორის.

**ზუგდიდის საწარმოო ბიოლოგიური ლაბორატორიის კოლექტივი.**

**რედაქტორი ა.კ. შანტურია.**

### ახალგაზრდა ეკონომისტთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 1 ივლისს 13 საათზე, პრეფექტურის სააქტო დარბაზში ჩატარდება ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება. ახალგაზრდა ეკონომისტებმა დამატებითი ცნობებისათვის მიმართონ საინიციატივო ჯგუფს შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტურა. რუსთაველის 90, ტელეფონი 2—86—87.

**საინიციატივო ჯგუფი.**

ყოფილი პაციენტები, ამჟამად სრულიად გამოჯანმრთელებულნი, დიდ მადლობას ვუხდით რაიონული საავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების ექიმს **ლუშა წურწუმიას** გაწეული ამაგისათვის. მისი სიტყვაც მკურნალია როგორც წამალი.

**შურა ქირია,**
**ლიანა ხოჯოლავა.**

**ინგირის №77 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი** აცხადებს არასრული და საშუალო განათლების მოსწავლეთა მიღებას 1 და 3 წლიანი სწავლების ვადით 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ პროფესიებზე:

სამწლიანი სწავლების ვადით.
1. **ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანე;** 2. **სასოფლო მეჯინიბლობის ოსტატი;** 3. **მეჩაიე ოსტატი;**

ერთწლიანი სწავლების ვადით:
1. **ავტომანქანის მძღოლი** (5 თვე): 2. **მძღოლ-ზეინკალი.** 3. **სოფლის მეურნეობის მოწყობილობათა მომსახურე და შემკეთებელი ელმონტიორი მძღოლის უფლებით.** სამწლიანი ჯგუფების მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი პროფესიები სურვილის მიხედვით: ჭრა-კერვის, ქსოვის, მანქანაზე წერის, საოჯახო მედიცინის, კულინარიის, ჩვილ ბავშვთა მოვლის. სწავლის პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო სამჯერადი კვებით, კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებლით, ქალაქის ტერიტორიაზე უფასო ტრანსპორტით. ყოველთვიური სტიპენდიით 10-დან 30 მანეთამდე. წარჩინებულებს კი 100 მანეთი. ამასთან კვების კომპენსაცია ყოველთვიურად 40 მანეთი.

სასწავლებელში სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. საწარმოო პრაქტიკას გაივლიან სურვილის მიხედვით, როგორც სასწავლებლის სასწავლო მეურნეობაში, ასევე რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საწარმოო დაწესებულებებში. სწავლისა და შრომის წარჩინებულები საკონკურსო შერჩევით საწარმოო პრაქტიკას მთლიანად გაივლიან ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, წარმოების მოგების სახსრებიდან.

საწარმოო პრაქტიკის პერიოდში მოსწავლეებს მიეცემათ გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი, ხოლო სასწავლო მეურნეობაში გამომუშავებული თანხის 100 პროცენტი.

სასწავლებლის კურსდამთავრებულები პროფესიასთან ერთად მიიღებენ საშუალო განათლებას და მიეცემათ დიპლომი.

კურსდამთავრებულები მინიჭებული კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაოდ განაწილდებიან ძირითადად იმ საზოგადოებრივ მეურნეობებსა და საწარმოო დაწესებულებებში, სადაც გაიარეს საწარმოო პრაქტიკა.

სასწავლებელი მთლიანად უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური ინჟინერ-პედაგოგიური კადრებით.

სასწავლებელში მუშაობს სპორტული სექციები, მხატვრული თვითშემოქმედებითი წრეები, ჩამოყალიბებულია თვითმოქმედი დრამატული თეატრი, შექმნილია სხვადასხვა ახალგაზრდული კლუბები, სასწავლებელს ემსახურება მდიდარი ბიბლიოთეკა, სასწავლო მეურნეობა, კეთილმოწყობილი კაბინეტ-ლაბორატორიები, სასწავლო სახელოსნო, პოლიგონი, სასწავლო ტექნიკა, სასწავლო მეურნეობაში დანერგილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების იჯარული ფორმები.

სასწავლებელში მიღება განხორციელდება გასაუბრებით. მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა ოჯახური შემადგენლობის შესახებ, ფოტოსურათი 3X4 6 ცალი.

საშუალო დამთავრებულებმა უნდა წარმოადგინონ დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან და შრომის წიგნაკი.

სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე, საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე, ყოველდღე გარდა კვირისა.

ჩვენი მისამართია: **ინგირი: 1, ა. აღაპიას ქ. 2. ტელეფონები:** 2—57—98, 5—17, 5—18, 5—19.

### ზუგდიდელ ნარდის მოყვარულთა საყურადღებოდ!

პირველად ჩვენს ქალაქში კოოპერატივი „იღბალი" 7 ივლისს კვირას (შემდგომ ყოველ კვირა დღეს) აწყობს შეჯიბრებას მოკლე ნარდში.

პასპორტით რეგისტრაცია და დაწვრილებითი ცნობების გაცემა იწარმოებს ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა 9-დან 14 საათამდე.

შეჯიბრებაში გამარჯვებული პრიზის სახით მიიღებს 10000 (ათიათას) მანეთს.

მონაწილეთათვის შესატანი თანხა 800 მანეთია.

იჩქარეთ, მონაწილეთა რაოდენობა ფრიად შეზღუდულია.

მისამართი: ქ. ზუგდიდი, მოხკოვის ქ. №6. ტრესტ №12-ის სპორტკომპლექსი.

**კოოპერატივის გამგეობა.**

შვილები გია, თემური, და ანიკო, შვილიშვილები დათო, გოგიტა, ნათია ეფენიები, რძლები ნათელა კოზუა, მარინა ხარატიშვილი, თინა სურმავა, რაისა გოგია. ვალია კაჭარავა, დინარი ლატარია, მული ლამარა ყორშია, ძმისშვილები ცისანა, ზურიკო. თამაზი. მიმოზა, მაგული. დისშვილები ციალა, გურამი ქირიები. ელისო, ელგუჯა ლატარიები, ცოლისძმისშვილები დოდო. ციური ყორშიები ცოლისდიშვილი თეა ყორშია ახლო ნათესავებით იუწყებიან

**კონსტანტინე გრიგოლის ძე ეფენიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 ივნისს სოფელ ანაკლიაში

დედა ალიშა. მეუღლე ნელი, შვილები თინათინი. დათო. და ჯული. ძმები: ნოდარი. ვახტანგი. სიძე ომარი, შვილიშვილები ვახტანგი, გიორგი ოსეთიშვილები. ნინო, გივი კორკელიები. რძლები: ნანა. ციური, ძმისშვილები: ირაკლი. ნუკრი. მარიკა. ბიძაშვილები მარო ლიანა. ვალიკო. ჯემალი. დიმა კორკელიები, ციალა დგებუაძე. მამიდაშვილები: ჯული. ხუტა. ლითშა ხოთენიები, ჯემალი. ნოდარი კვარაცხელიები. დეიდაშვილები: ნორა. რათო. ქენია ჭანტურიები, ნორა. ლეილა. ნორა ვალოდია ჩაჩიბაიები იუწყებიან. რომ გარდაიცვალა

**გივი ისაკის ძე კორკელია.**

პანაშვიდი 29 30 ივნისს, 1 ივლისს 19 საათზე. დაკრძალვა 2 ივლისს ქ. ქუთაისში, გამოსვენება წერეთლის ქ. 83-დან 16 საათზე.

ძმა ტოტოშა, რძალი ზინა ჭითანავა, შვილებით მარინა, მედეა, მიშა ჯიქონაიები, სიძე გურამ მარღანია შვილი დათოთი იუწყებიან

**დავით (ჟორჟი) მიხეილის ძე ჯიქონაიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4 ივლისს ქ. სოხუმში მშვიდობის გამზირი 94. გამოსვენება 5 საათზე მასწავლებელთა სახლიდან.

თრიდონი და ნანი მალანიები ოჯახით იუწყებიან

**დავით (ჟორჟი) მიხეილის ძე ჯიქონაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე რუსუდან ნორაკიძე, შვილები ასმათი, თენგიზი, ძმები კუკური. ალიოშა, სიძე გია ლიკლიკაძე, შვილიშვილი მარიამი იუწყებიან

**ვახტანგ (ბოჩია) აქტონის ძე ალანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29. 30 ივნისს. დაკრძალვა 2 ივლისს ქ. ზუგდიდში. გამოსვენება დავით აღმაშენებლის ქ. 169 18 საათზე.

მეუღლე ციალა, შვილები ნინო, ნუგზარი. გია. შვილიშვილები: ზაზა. გიორგი. სალომე, ნუგზარი ძმები აბესალომი, რეზო. რძლები: მზია როგავა, ირმა ხოხაძე, ეთერ კალანდია, ზაირა კვინჩია, თინიკო ძიძიგური, მამიდა ლუბა, ნარუშვილი, სიმამრი ევგენი ლადიძე, ცოლისდები: მზია. მანანა, მიმოზა; ცოლისძმები გურამი, ანზორი, გონელი ლადიძეები, მზახლები: თამარ როგავა. ვასილ ნოზაძე, ქვისლები: კაკო შენგელია, ზაურ თოდუა, ძმისშვილები ბადრი, მანონი, მარინა,. მაია, მარიზა, რამინ ნარუშვილები, თამაზ ძიძიგური, მამიდაშვილები: მერი ხაბურზანია, დოდო ჟვანია, ბიძაშვილები: ენძელა ამილახვარი ნათელა სხულუხიები, ახლო ნათესავები იუწყებიან

**მურმან პროფილეს ძე ნარუშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 ივნისს. დაკრძალვა 2 ივლისს სოფ. ცაცხვში.

შვილები: ნესტანი. დალი, დარიკო, ლერი, და ნელი, დისშვილი თეზიკო, სიძეები სოსო ჯიბლაშვილი. ჯუმბერ ყულოშვილი, თენგიზ ტყებუჩავა, გიორგი თორია, ბიძაშვილები დურუ, გურამი, თინა, თამაშა, ამირანი, თამარა, ცოლისდები: ძაბული, ლამარა, კლარა, ცოლისძმა ომარი, შვილიშვილები: თეა, ლევანი, ირაკლი, ანა, დიმიტრი, ნათია, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**გვანჯი (იროდი) ჟვგენის ძე იოსავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29, 30 ივნისს. დაკრძალვა 2 ივლისს. ქ. ზუგდიდში, გამოსვენება პუშკინის ქ. 79-დან 18 საათზე.

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-17-00.

საქართველოს რესპუბლიკის ინფორმაციის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23-07, ტირაჟი 8000 შეკ. №2661

ეროვნული ბიბლიოთეკა